

572  
1974/9



1974 წლის 9-10-11 ნაკვეთი №4

# სიკვამია



# მამის ნაამბობი

ლ. კონი

ვალოდის მამა—ილია ნიკოლოზის ძე—სახალხო სასწავლებლის დირექტორი იყო. ის ხშირად დადიოდა სოფლებში და ამოწმებდა, იყო თუ არა სკოლა; თუ იყო, როგორ ასწავლიდნენ ბავშვებს...

მამის სოფელში ყმაწვილებისთვის ვის ეცალა, სკოლა აქა-იქ თუ არსებობდა, სწავლითაც ცუდად ასწავლიდნენ, რაც ილია ნიკოლოზის ძეს ძალიან აღელვებდა.

ერთხელ ასეთი მოგზაურობიდან ნაღვლიანი დაბრუნდა შინ.

სალამოს, ნავაშმევს, ვალოდის უამბო:

— ერთ სოფელში ჩავედი და გამვლელს ვთხოვე, სკოლა მიმასწავლე-მეთქი.

— არ ვიცო.

— თქვენი ბავშვები არ სწავლობენ?!—ჩავეძიე უცნობს.

— ზოგი სწავლობს...

— მერე, როგორ არ იცით სასწავლებლად

სად დადიან?—გაევიკირვე მე.

— აგერ, იმ ქოხში დადიან, ქასთანო.

მევედი. ერთი პატარა, ბნელი და გამურული ქოხი იყო. ღუმელთან დიასახლისი ტრიალებდა, კუთხეში გათოშლილი ხბო მიყუყულიყო. მაგიდასთან რამდენიმე მობუზული ბიჭი იჯდა და სახლის პატრონი ასწავლიდა.

— თქვენა ხართ მასწავლებელი?—ვკითხე სახლის პატრონს.

— ეჰ, მეც თუ მასწავლებელი მქვია! წერაკითხვა ძლივს ვისწავლე, ანა-ბანას ვასწავლი ბაღებს, მეტი არც მე ვიცი.

მეორე სოფელში უარესი ამბავი დამხვდა: სკოლა რომ მოვიკითხე, ერთ ვაპარტახებულ ქოხზე მიმითითეს. თურმე იმ ქოხში აღრე ეკლესიის დარაჯი ცხოვრობდა. სკოლაში სამი ბიჭუნა დამხვდა. მარტონი იყვნენ. დაფლეთილი ქურქები ეცვათ, ფანჯარასთან მიმსხდარიყვნენ და გულმოღვინედ იზებირებდნენ ანბანს.

# რაკეტა

გიორგი ნაკათალი

გოხამ დიდხანს აკოთა,  
ვაკეო რაკეტა,  
შივ მურია ჩსვს და  
კანი შგრაღ ჩაკეტა.  
„კოსმონავტი“ ჩაწუქდა,  
მერე უცბად დაფეთდა  
და მუჟათს რაკეტა  
იქცა ნაფლეთიანაფლეთად...  
გოხის ჭკითხეს:  
— რა ქიხდა?  
— რა და, აქვე აფეთქდა...  
— „კოსმონავტი“?  
— გადარწა,  
დარბის იქი-აქეთა!

ნახატი შაქრო შაქრშაქინა







12.447

— თქვენი მასწავლებელი სადღაა?— ვკითხე ბავშვებს.

მათი მასწავლებელი სოფლის ხუცესი აღმოჩნდა. იმ დღეს ეს ხუცესი მეზობელ სოფელში დასაფლავებაზე წასულიყო.

— შინ რატომ არ წახვალთ, ამ სიცივეში რას იყინებით-მეთქი?

— მასწავლებელი ყველას გაწვეპლით დავემუქრა, თუ აქედან ფეხს მოვიცვლით და ანბანს არ ისწავლითო!

აი, სკოლაც ამას ჰქვია!

— რა უნდა ისწავლონ ასეთ სკოლაში?— გაოცდა ვალოდია.

— საქმეც ეგ არის, რომ ვერ სწავლობენ; ვერაფერსაც ვერ სწავლობენ!— უბასუხა მა-

მამ.— მაგრამ რაღა შორს მიდიხარ, აბა, გაიხსენე, შენმა მეგობრებმა კი იციან წერა-კითხვა?

ვალოდიამ თავისი სოფლელი მეგობრები გაიხსენა, ყველა გაიხსენა: ზოგთან ერთად სოკოზე დადიოდა, ზოგთან ლამლამობით ცხენებს დარაჯობდა ხოლმე. გაიხსენა ანცი ბიჭი სერიოჟა, ჩიტის მახეების დაგებას რომ ასწავლიდა; მოაგონდა ვასიაც, ყველაზე მეტ თევზს რომ იჭერდა; მწყემსი ბიჭი ბახავია, სევდიან, თათრულ სიმღერებს რომ მღეროდა ხოლმე... იცოდა რომელიმე წერა-კითხვა? არა, არც ერთმა არ იცოდა!

თარგმანი გუიან ბელაშვილმა



# ჭრიჭინები

ირინა უშვარიძე

— ჭრი-ჭრი,  
 ჭრი-ჭრი,  
 ჭრიჭინებო,  
 ეს ხაიდან ჭრიჭინებო?!—  
 — ხიდან, ხიდან,  
 ჭრი-ჭრი-ჭრიო,—  
 ერთ ხესაც ნუ  
 მტკვითჭრიო!



# პინძინა

ღეღოფაღა პინძინა  
 სულ ჟღარუნობს: მძინ-მძინ-ავს...  
 თვალს არ ახეებს, ქანაობს,—  
 ნანა პინდა, ნანაო.

ნახატები გიორგი როინიშვილისა





# ქიტესას სხლი

არსოზა ელანიძე

ნახატი მზარ მასხოსა

ქიტესასკლასეღის ოჯახი ახად სახლში დაბი-  
ნავდა. ქიტესა ამხანაგს ესტუმრა, ვუცხოვა  
ფართე ოთახები, მალადი ქერი, პრიადა იატა-  
კი, ჩუქურთმიანი აიგნები, საიდანაც მოჩანდა  
მთელი თბიღისი, ვერცხღის ზონარიღით გაქი-  
მული მტკვარი...

შინ რომ დაბრუნდა, თავისი ძველი სახლი  
აღარ მოეწონა. აღარ მოეწონა ძველი ხის კიბე,  
გაბზარული კედლები... დაზიანებული აიგანი, სა-  
ხურავი... ახდა სულ იმის ნატვრაში იყო, რო-  
ღის იქნება, ჩგენი ძველი სახლიც დაანგრიღნ და  
მის ადგიღზე ერთი ცათამბჯენი აღმართღნა.

რომ იტყვიან,—კაცს ნატვრა აუხრუღდაღ,  
მართლაც ისე მოხდა.

ერთ მშვენიერ დღეს მოვიდა ინჟინერი, მოიყ-  
ვანა ოსტატები, მუშები. თბიღისის მშენებღ-  
ბის გეგმა გაზადეს.

— აქ ისეთი შენობა უნდა აღმართღთ, რომ  
თბიღისის ყვეღა მხრიდან გამოჩნდეს და მნახ-  
ვეღს აოცებღს.—თქვა ინჟინერი.

ოსტატებმა მუშები იქვე სხვადასხვა უბანზე  
გაანაწიღეს. ახადი სახღის გეგმა იმ ძველი სახ-  
ღის უკან გადაზომღს, მოიტანღს დღდიკვნეღია  
ბურღები, ბეღტიყდაპია მანქანები და შეუღღგენ  
საძირკვეღის გათხრას.


ხმაურმა მთელი უბანი ჩგეუღღბრიღზე ადრე  
გამოაღვიღა, ბვერი მნახვეღი მიიზიღა. ახად  
მშენებღობასთან პირვეღი ქიტესა გაჩნდა, მადე  
იქ სხვა ბავშვებმაც მოიყარღს თავი...

ის დღე იყო და, ქიტესა მშენებღებს აღარ მო-  
შორებია,—დიღაუთენია დაბარებულღით გამო-  
ეცხადებღდა ოსტატებს. ისინიც შესაფერ საქმეს  
ყოვეღთვის გამოუქმენიღნენ ზღღმე, მერე მანქა-  
ნებსაც მიეჩიღია ბიტი,—ბეღტიყდაპიაზე, კღღის  
მკვეღტღღზე მუშაობაც სცადა.

საძირკვეღის გათხრა მადე დაამთავრღს, ის იყო,  
კედლების ამოყვანა უნდა დაეწყოთ, რომ ინჟი-  
ნერიმა ქიტესას ხელი ჩააკიღდა და საძირკვეღთან  
მიიყვანა, გვეღროში ერთი ნიჩბისპირი ბეტღონი  
ჩაუსხა და უთხრა:

— მოღი, ეს საძირკვეღში ჩაასხი, შენი ხე-  
ღის ბარაქაც მიუმატე და უფრო მაგარი შენო-  
ბა გამოვა, თბიღისის მშენებელი შენც იქნე-  
ბიო!..





შესრულდა 150 წელი გამოჩენილი ქართველი პოეტის რაფიელ ერისთავის დაბადებიდან.

„სწავლობს გიგლა ტიტინა,  
მზემ შემოუჭვრიტინა“...

ვინ არ იცით ეს ლექსი! ვანა მართო ეს?

ბევრი, ძალიან ბევრი კარგი ლექსი დაგვიწერა რაფიელ ერისთავმა: „მიპატივება სასწავლებელში“, „ზამთარი“, „მერცხალი“, „რთველი“, „ღამის მერყე“...


ვბეჭდავთ ნაწევებს რაფიელ ერისთავის ლექსიდან.

რაფიელ ერისთავი  
(1824—1901)


# საბოგლო ხევისურისა

სადაც უშობილვარ, გავსრდილვარ  
და მისროლია ისარი,  
სად მამა-პანა პეგუღვის,  
იმათი კუბოს ფიცარი,  
სადაც სიურძითვე ვჩვეუღვარ,  
ჩემი სამშობლო ის არი.  
არ გავცვლი სალსა კლდეებსა  
უგვდავებისა სეზუდა,  
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს  
სხვა ქვეყნის სამოთხეზუდა!

ნახატი ნოღარ მაჰრინღაშვილისა







# ქრუსი, ფისო და პირთხა

პაპე მუხარაშვილი

ქრუსს უოველ დილა-სალამოს  
ეკარგებოდა წიწილი.  
საწყალი დედა ქათმებში  
თავს ველარ ჰყოფდა სირცხვილით.  
ეგონა ფისო პარავდა,  
ეგონა ფისო ართმევდა.  
სადაც კი წააწყდებოდა,  
ცხვირ-პირში უნისკარტებდა.  
კატამ გულ-მკერდზე დაირტყა  
თათი და დაიტრახა:  
— ჟელს გამოვლადრაგ,  
ვინც თავს მჭრის,  
მიწაში ცოცხლად დავმარხავ.  
ქრუსს მალე გავაგებინებ,  
მტყუანი ვარ თუ მართალი.—  
კართან ჩაცუცქდა, საბუღარს  
ფრთხილად დაუწყო თვალთვალი.  
თათებზე გაწვა, სიბრაზე  
გულს უმძიმებდა ლოდივით.  
დიღხანს არ დასჭირვებია  
ყოჩად ფისუნას ლოდინი.

ნახატი თამარ ჩიჩინაშვილია

ხედავს, ნელ-ნელა მოძვრება  
ვირთხა საძირკვლის ხერხელიდან.  
ფისომ იფიქრა: „გათავდა,  
ველარ წამივა ხელიდან.  
წიწილებისგან, ნამდვილად,  
ამ წუწკმა ვირთხამ გავცვალა“.  
სული განაბა,  
წუწკს მსხვერპლთან,  
მიახლოვება აცალა...  
და როცა ვირთხამ მსუნავმა  
პირი დასტაცა წიწილს  
და საცოდავი წააქით  
სოროსკენ წააცინცილა,—  
კატა ჰაერში აფრინდა  
და ვირთხას ზურგზე დააცხრა,  
იმდენი ფატრა მსუნავი,  
ლამის ბრჭყალები დავაცვდა.  
გამოასახლმა სიცოცხლეს  
ვირთხა გრძელუღოვანი.  
მერე მზის გულზე წამოაწვა  
ფისო მარდი და ფხიანი.

ივანე ჯავახიშვილი

ხოხა აცვია ლუსუქსა,  
უნდა მიმოვლოს მთავუელი,  
თუნდა შშეს მოყრდილება,  
იმისი ერთი მტკავუელი.  
ცხენ-ჯოხას დაჯირითებს.  
ბიჭი, შატარა უძავუელი!

ნახატი ვახვანდ ბუღისაშვილი



## ლია პირს იბანს

ლავრანთი ჟინინაძე

პაპუნასა და ღიას ერთად თამაში უყვართ. თამაშით კი თამაშობენ ერთად, მაგრამ უცებ სულ უბრალო რამეზე წაიკინკავედებიან ხოლმე. შერიგებაც მადე იციან.

პაპუნა მესამე კლასშია, ღია—პირველში.

ერთ დღიას სწორედ პირის დაბანის დროს წა-კინკავედნენ,—არა მე უნდა დავიბანო ჯერ და არა—მეო.

— დღეს სულ აღარ წავად სკოლაში!—თქვა გაჯაგრებულმა ღიამ. გაიბუტა, წავიდა იქით და ცაღვე დადგა.

— სკოლაში წაუსვდილობა როგორ იქნებაო.— აქეთ დედამ უთხრა, იქით—მამამ, მაგრამ ღია ცივ უარზე იყო.

აგერ, ბაბუაც გამოჩნდა, ჯერ გაუცინა, მერე დაარიგა:

— დღეს შენ კარგად იცი დექსი, თუ სკოლაში არ წახვად, მაშინ ვინ იტყვის დექსს შენს მაგივრად?

— ჰო, მართლა, მე ხომ დექსი უნდა ვთქვა ბუპირად!— და პირსაბნისაკენ გაიქცა!



# ციცა



ზაქარია შარაზალიშვილი  
რა არ ჰქვია:  
ფისო,  
ხატაურა,  
ციცა,  
სისუფთავის წესებს  
სანიმუშოდ იცავს!

ჩვენს დათვლილ ეზოს,  
ტალახიან შარას,  
გაღაირბენს პიწკად,  
დაუსვრელად, მშრალად.

ყველა ბეწვი ტანზე  
დავარცხნილი უჩანს,  
ისაუზმებს ფრთხილად,  
არ დაისვრის ტუჩსაც.

ბირს დაიბანს მაინც,  
უყვარს ტანის ბერტყვა,  
ისე მუსრაგს თავგებს,  
თითქოს ხმალი ერტყვას!

## უეჭიბრი

ნელი ლარსაველიძე

აბა, ბიჭო, განი, განი,  
შეჯიბრი გვაქვს შე და ვანოს,  
გვინდა, ჩვენნი ჯონ-ცხენები  
ხვალ ჯირითზე წაგვივანოთ.



ნახატები შვიბა შველავასი

# ორი სრუპინკელა

ნახატები თამაზ ხუმიშვილისა

გივი ჭიჭინაძე

— ცხრა ზღვა, ცხრა მთა გადავლაზე,  
 დღემდე ქვეყნად რა არ ვნახე!  
 ერთ მწვეწვია ჩიტს ნისკარით  
 მზე დაჰქონდა მოჩახახაზე...

— მე კი ერთხელ ქალი ვნახე,  
 თავზალს ქსოვდა ღრუბლის ფთილო...

— ტყეში ერთი მუხა იდგა,  
 გამოეხსა კრუხ-წიწილი...

— ხოდაბუნში მივდიოდი,  
 გავიხედე, რასა ვხედავ:  
 კაცი კურდღელს ზურგზე აზის,  
 დაჰქენებს გახახუნდალ...

— ამას წინათ, წვიმის შემდეგ,  
 მგზავრი შემხვდა ათიოდე,  
 ცისარტყელას ბილიკებით  
 მეტრეე ცაზე აღიოდნენ.

— იმ დღეს ლხინში დამპატოეხს,  
 სუფრა ჰქონდათ საოცარი!  
 ილი ტორტი მოგვიტანეს,  
 თოვლის ფეკილით გამოცხვარი...

— ეგ რა არის! ერთ ქალაქში  
 ვიყავ გასულ შაბათ-კვირას.  
 იქაური მცხოვრებლები  
 დადიოდნენ თავდაყირა.

— გახსოვს, ზევაი რომ ჩამოწვა  
 და ჩამკცა ვალმა სოფელს,  
 უცნაური ხალხი შემხვდა,  
 მეტისმეტად გამოაცეს:

აღათი გვაქვს ასეთიო,  
 შეგვისრულეხ, აქ თუ დარჩი.  
 გაქმეფო, გასმეფო, ოლონდ ღამე  
 კეერცხზე დაგხვამთ საბუღარში.—  
 რას ვიზამდი, ძლივს დავთანხმდი;  
 რა გზა მქონდა იმ ზამთარში.

წიწილები კი დავჩეკე,  
 მაგრამ სირცხვილს ძლივს გადავჩი.


— მე ისეთი რამ შემემთხვა,  
 ეს აქამდეც უნდა მეტყვა:  
 ერთ ქალაქში ვსეირნობდი,  
 წამოვიდა გოგრის სეტყვა...





— მე და ჩემი მეგობრები  
ქარიშხალში მოვხვდით შარშან,  
ცაში დიდხანს გვატარიალა,  
ფოთლებივით გვათამაშა.  
როცა ჩადგა, როგორც იქნა  
და მოვითქვით ოდნავ სული,  
ვხედავ, მაგრამ რასა ვხედავ,  
ღრუბლებზე ვართ დასკუპული.  
ის ღრუბელი სეტყვის იყო,  
ტრიალებდა სოფლის თავზე.  
შეცებ ქკუა მოვისმარე,  
ასეთი რამ მოვისაზრე:  
ზედ კოცონი გავაჩადეთ,  
წამსვე წვიმის ჩქერად იქცა.  
იმ ჩქერს ცურვით ჩამოვყვეით,  
დავუბრუნდით დედამიწას...—  
— ეგ ამბავი, ჩემო ძმაო,  
კარგად მახსოვს, როდი ვდაბო.  
მაშინ სოფლად ხმა დაირხა,  
ხალხის წვიმა მოვიდაო!  
თქვენ რომ ციდან მოცვივოდით,  
მე არ დაგხვდით დაბლა თივით?  
თორემ რას გადარჩებოდით,  
დასკდებოდით კვახებივით...





# გიგა და გია

ვლადიმერ ასლანაშვილი

ნახატები რუპუხ სახეივანიდან

გიგა პატარა ბიჭია. ისეთი პატარაა, რომ ეზოში სათამაშოდ მარტოს არ უშვებენ. რა ქნას, გამოვა აივანზე და ქუჩას გადასცქერის. ერთხელ აივანზე გამოსულ გიგას თავზე ქალაღის ჩიტი დასკუბდა. გაკვირვებულმა მაღლა აიხედა, ზედა სართულის აივანზე მასზე დიდი ბიჭი იდგა და უცინოდა.

გამოვლენ აივანზე, გია ქალაღის ჩიტებს აკეთებებს, — ფრრრ... მიფრინავენ ჩიტები და უხარია გიგასაც.

ერთ დღეს გია აივანზე აღარ გამოჩენილა, თურმე მშობლებთან ერთად, ქალაქის სხვა მხარეს, ახალ ბინაში გადაბარგებულა.

დალონდა გიგა, ჩიტებს ვინლა გამიკეთებსო.

ერთხელ აივანზე მოწყენილი რომ იდგა, ფოსტალიონმა ვეგერთელა კონვერტი მოუტანა. გიგამ კონვერტი გახსნა და იქიდან ქალაღის ჩიტები არ წამოცვივდა! ბიჭი გაოცდა, მაგრამ უმაღ მიხვდა, ის ჩიტები ვინსი გამოგზავნილიც იყო და გაიღიმა.

იმ ქუჩაში, სადაც გიგა ცხოვრობს, ისევ დალივლივებენ ქალაღის ჩიტები, მეზობლებს ჰგონიათ, გიგამ ჩიტების გაკეთება ისწავლაო, რა იციან, რომ იმ ჩიტებს მისი მეგობარი გია უგზავნის!

- რა გქვია? — ჰკითხა ბიჭმა.
- გიგა! — ასძახა გიგამ.
- მე გია მქვია! — ჩამოსძახა ბიჭმა.
- ჩიტი რატომ ჩამოაფრინე?
- რატომ და გაჩუქე, გააფრინე, სხვასაც გაგიკეთებ.
- გახარებულმა გიგამ ქალაღის ჩიტი ცისკენ შეისროლა. ჩიტი ფრთების ლივლივით გადაეფლო ქუჩას და ხის ტოტებში გაუჩინარდა.
- მას შემდეგ გიგა და გია დამეგობრდნენ.



# ლეკვი და ჩოჩოკი

ანტონ აბულაშვილი

ნახატი ბასარიონ ხიდაშელისა

გირუგელა ჰევათ გიგანთ,  
ერთი ზატარა ჩოჩოკი,  
შებლთან ბაღანი ისე აქვს,  
როგორც ლაშასი ქოჩოკი.  
გიგას ლეკვიც ჰევას გულადი,  
მტერი ბოძობარ ძაღლები,  
ერთგული მძვეელი გიგანთ  
თუ შესობლების ბაღების.

უეფუს ღორს, ქათამს, ინდაურს,  
ისვსა თუ ისვის ჭკუჭულებს,  
იმისი შიშით ესომი  
ვერავინ დაიხურნულებს,  
მავრამ სომ ასე ავია  
ლეკვი უკუდო, უკურო,—  
ის რომ ჩოჩოკთან თამაშობს,  
უნდა დიდგე და უკურო.



# პინ რას ნატრომს

ლილია პარაძე

გოპურიდან კიკინებს  
თხა-ბეგეკა:—ძევეე,  
არ მიშვეებენ, უღორტი რომ  
დაჯადალო ხეებს!

პროხა ზმუის:—ნატრონო,  
საუფედურს რომ არ იძლი,  
რმე თუ გინდა, ბიბია,  
საბალახოდ გამიშვი!

ღრუტუნია-ღრუტუმი  
იღრუტუნა დიდხანს:  
— ლაფს რომ ვერსად ნახავ,  
რა ეზოა, მითხარ!

ფისუნია—რიკი  
წეგს და თვალებს ნაბავს,  
არ ჭაჭანებს თავიცი,  
რა სახლია, აბა!

— ჰამ-ჰამ!—ეურმა ბრახობს,—  
არვის ესმის ჩემი,  
რად ვაბიჯარ ვაჭვით  
თუ ვარ ეზოს მცველი!

ცხენი მოაჭედა ფრუტუნს:  
— გამიმართეთ ხელი,  
თუ ვარ მართლა ცხენი,  
დამიუარეთ ქერი!







# როგორ ისწავლა ფლოკა სიმღერა

მამი-ლუი პარი

ნახატები თენგიზ სამსონაძისა

ტყაბ-ტყუპი.. ტყაბ-ტყუპი.. ტყაბ-ტყუპი..  
თვალს მოგვრავენ თუ არა, ბალახებში მი-  
მალული ბაყაყები ფაცხაფუცხით გადაცვი-  
დნენ წყალში.

ერთ წუთს მოიცა და პაწაწინა თავებს ისევ  
ამოჰყოფენ წყლიდან. თუ ლელიანშიც ჩაუ-  
საფრდები, წყლის შროშანის ფოთოლზე დას-  
კუბულ სულ პაწია ბაყაყსაც შენიშნავ; რომ  
დაინახო, კარგად უნდა უცქირო, რადგან  
ტანიც ფოთოლივით მწვანე აქვს. ეს ვასა-  
კაა, მიდამოს ათვალიერებს თავის თაფლის-  
ფერი თვალებით. შეხე მის მოყვითალო მუ-  
ცელსა და ქათქათა ყელს და დაინახავ, პაწია  
გული როგორ უცემს.

მას ფლოკი ჰქვია, ეს სახელი დებმა შერ-  
ქვეს. ძალიან ემარჯვება წყალში ხტომა; ისე  
კონტად ჩაყვინთავს ხოლმე გუბეში, რო-  
გორც მოცურავე—აუზში.

იმ დილით ფლოკს ცა ქუდად არ მიაჩნდა  
და დედამიწა ქალამნად. გაბერა მუცელი და  
მოჰყვა ყიყინს: ყი! ყი! ყი!

— რა უშნოდ მღერი, — გადმოსძახა ბი-  
ლიკზე მოხტუნავე სკვინჩამ.

ფლოკს ერთბაშად მოუკვდა გული; ისე  
ჩასწყდა რაღაც მკერდში, როგორც ძალზე  
დაჭიმული სიმი წყდება ხოლმე.

მას შემდეგ მიუგდო ყური მომღერალთ:  
ტოროლას, შავთავა. წიწკანებს, მხიარულ  
სკვინჩას.

ერთ საღამოს მაგრად მიეკრა ტირიფის  
ფოთოლს თავისი პაწია თითებით და ბულ-  
ბულის გალობაც მოისმინა. მაშინ ძალიან,  
ძალიან დაღონდა და მიხვდა, რომ მართ-  
ლაც არ იცოდა სიმღერა.

მასწავლებელს ვიშოვნიო, გადაწყვიტა და  
გუბეს გასცილდა.

— საღ მიდიხარ, ფლოკ? — ჰკითხეს ვასა-  
კებმა.

— სიმღერის სასწავლად.

— კი მაგრამ, შენ ხომ ისედაც ბაყაყით  
მღერი... ბულბული ვინდა გახდე?

— მე ცუდად ვმღერი, უკვე წამომძახეს.





ფლოკს იმედი გადაუწყდა, მაგრამ ყველაფრის მცოდნე ბელურამ უთხრა:

— წადი გომბეშოსთან, შენი ნათესავია. ღიდი ჩახვეული სიმღერა არც იმან იცის, სულ ერთ ხმაზე მღერის, მაგრამ მაინც საამური მოსასმენია. გეგონება, ბროლის სალამურზე უკრავსო. შეგხვეწე და არ დაგზარდება, რაც იცის, იმას მაინც ვასწავლის.

და ფლოკიც გომბეშოსთან წავიდა. გომბეშო ღიდი, ხავსმოკიდებული ლოდის ქვეშ სახლობდა. ძალიან უშნო რამ იყო, სქელ, დამძიმებულ, მენიღურ ბაყაყსა ჭგავდა; ტანზეც უამრავი მჭექეო ასხდა, მაგრამ ძალიან კეთილი იყო და ძალიან უნდოდა, ფლოკს რამეში გამოსდგომოდა.

წავალ და ვისწავლი, — თქვა ფლოკმა და იქაურობას გასცილდა.

ღერწებმა გზა უტიფს, ძქვნებმა ერთმანეთს გადაულაპარაკეს, აქ რომ იხვი დადის, ისიც ვერაფერი შეილი მომღერალიაო და ფლოკი იქნებ არცა ტყუის, სიმღერის სწავლა რომ გადაუწყვეტიაო.

ფლოკი ბუღბუღლთან გაიქცა.

— მე მარტო ბუღბუღლებს ვასწავლი. ჩვენ ხელოვანი ხალხი ვართ! — უთხრა თავმომწონედ ბუღბუღმა, — აბა ერთი შაშვთან მიდი. შაშვი საღმრესასწაულოდ იყო მორთული: შავი, კულდანი ფრავი ეცვა და ნამღვილად ღირიფორს მოჰგავდა.

— ვნახოთ, რა იცი, ფლოკ! აბა ერთი ამყევი: ტუი-ი! ტუი-ი! უი! უი!

— ყი-ყი! — დაიძახა ბაყაყმა.

— ხმა არ გქონია და მე რა გიყო... მე უმეცრებს არ ვღებულობ; ჯერ უნდა ივარჯიშო, მერე კი... ვნახოთ! მიდი, ერთი, წიწკანასთან, ან სკვინჩა ბატონთან.

მაგრამ წიწკანა სხვას არ ასწავლიდა: ისე, თავისთვის მღეროდა. სკვინჩას კი არ ეცალა, ხის კენწეროებზე ბუღდეს იცეთებდა.







წინ დაცუტკდა ბალახზე და გაკვეთილიც დაიწყო:

— ყური მივღე და ამყვიე! ტუი-ი!.. ფლოკმა ფილტვები დაბერა და რაც ძალი და ღრვე ჰქონდა, შემოსძახა:

— ყი!  
— არა. უფრო ნახა! სალამურის ხმას-ვით: ტუ-ი, ტუ-ი!

ფლოკმა მთელი გულითა სცადა, მაგრამ საშინელი ყი-ს მეტი არაფერი გამოუვიდა. კაკაკმა და წიწკანამ თავზე გადაუქროლეს და მასხარად აივდეს.

— თავიდან დავიწყოთ,—უთხრა გომბეშომ დაყუვავებით.

მაგრამ რამდენიც არ უძახა „ტუ-ი, ტუ-ი“, ხმაჩახლენილი ბაყაყი მაინც „ყი-ყის“ გაიძახოდა. იმდენი ჰქნა, რომ უსწავლელი წამოვიდა. წამოვიდა და ისევ თავის მშობლიურ გუბეს მიაშურა.

ყველამ იზეიმა მისი დაბრუნება. დებმა ჰკითხეს:

— ახლა თუ მაინც იცი სიმღერა?  
— არა, კარგი მასწავლებელი არ შემხვდა! მაინც არ მოგეშვები, ვისწავლი; სიმღერის სწავლა ისევ გულით მწაღია.

— თავს რაზე იკლავ? ყველა ისე მღერის, როგორც შეუძლია: ზოგი მზეს უგალობს, ზოგი—მთიარის ნათელს, ზოგიც—შხაპუნა წვიმას. მთავარია, მთელი გულით მოეცილო

საქმეს. შეხე იმ ღრუბელს, წვიმითაა დატენილი...

ყველამ ერთხმად რომ შემოგძახოთ ყი-ყი, ჩვენსკენ წამოვიყვანოთ.

და ბაყაყებმა მხიარული ყიყინი მორთეს. არაფერი სჯობდა მათ მოსმენას.

ლამაზმა ვასაკამაც შეუერთა თავისი ხმა დების სიმღერას და სულ მალე სიამემ დაი-სადგურა ფლოკის პაწია გულში.

ფრანგულიდან თარგმნა ნესიან იორღანიჰილიმა




# გამსვლელი

## კვიპი

ბაკვეთილი მხორე

### დაფა

საჭადრაკო დაფა სამოცდაათხი თეთრი და შავი კვადრატებისგან შედგება. თამაშის დროს დაფა უნდა დაიდგას ისე, რომ თეთრი, კიდური უჯრედი მოთამაშის ხელმარჯვნივ იყოს. დაფა შესდგება დიკონალების, ჰორიზონტალებისა და ვერტიკალებისაგან.



## საჭადრაკო ფიგურები

ჭადრაკის დაფაზე მებრძოლი ფიგურები მხედარი, კუ, ლაზიერი, მეფე, კუ, მხედარი ორ ბანაკად იყოფა—თეთრებად და შავებად. და ეტლი. ორივე მხარეს ერთი და იგივე ფიგურები მიაქციეთ უურადდება: თეთრი მეფე დგას აქვთ, თექვსმეტ-თექვსმეტ. ჩვენი დიკონაშის შავ უჯრანზე, შავი კი—თეთრზე. თუ რომისეღვით (მარცხნიდან მარჯვნივ) წინა გორ მომრადებენ ეს ფიგურები, ამას შემპვიკრიფში ზაკეები დგანან, უგანაში—ეტლი, დეგ კაკვეთილზე გაეცნობით.





საქართველოს  
განათლების  
მინისტროს  
გამოცემის  
გამოცემა

## გამოცანა

გრძელი კუდი,  
ბრტყელი თავი,  
უქმად გდება არ მაცალეს.  
ცოცხმა მტვერი მომყარა,  
მე ვედროში გადავცალე.


შალვა შაშაძე



## ციფვი

ი ა გაჰაჰარიანი

ფულუროდან კამოძვრ  
ციფვი, ციფვი, ციფუნა...  
თავსე ფუმფულ-ფუმფულა  
კუდი წამოიხურა,  
გადმოხედ სემოდან,—  
მიურნ და მიურნა.



## თავსაგზი

შეავსეთ ცარიელი უჯრედები საქართველოს მდინარე-  
თა სახელებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ მსოფ-  
ლიოში პირველი კოსმონავტის გვარი.

შეადგინა ლავოდეხის საშ. სკოლის მოსწავლემ  
მანანა შიხაშვილმა

## სოკო

ქიხარაქ ისაჰაძე

როგორც კი მოვა  
ზაფხულში თქვენი,  
მაშინვე თვადებს  
გაანედ ტყეში.  
წვიმის მოხვდა თუ  
ასე გწყურია,  
სუდ მუდამ ქოცა  
რად განურია?!

შთავარი რედაქტორი მუხრან მამუკაშვილი

სარედაქციო კოლეჯი: კაპაძე გიგინეაშვილი, ლეილა მკაბე, გაბაშალა ზარაღოშვილი, ჯიჟია გუჯიანი,  
იოსებ მუხრანაძე (პრე მდივანი), შალვა მხადაძე (ხაბ. რედაქტორი), რომანოზ ღარიბაშვილი,  
გიგი მხადაძე

საქ. ალ. ც. ც. სა და ე. ო. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ეფრემო  
ელაბე ნახატი თმშპრ ჩინიშვილი

რეკლამა რედაქტორი გ. რიბიშვილი

შისაზარაო რედაქციის დახმავებით. საბაბის—თბილისი, ლენინის 14. ტელ.: შთ. რედაქტორის—93-41-90, 93-90-15,  
პ/პ მუხრან — 93-10-32, 93-98-17, საშ. რედაქტორის—93-98-16, ვაჟაფ.— 93-98-19; სამდივნო — 93-98-16.

ვალდებ. რედაქცია: 101-71 შ. ჟურნალის რედაქციის მისამართი: 5/11-74 ქ. თბილისის ზონა 00X111, 111  
საბ. სა. ელ. ც. ქა. ტელ. № 159-7111. პე. № 125. „დილა“ № 4. შთ. რედაქციის მისამართი: თბილისი 20 კაპ

საქ. კა. 434-08  
გამომცემლობა

Издательство  
ИК-60-Ерван

692/80



„კ რ მ ლ ი“ — ნახ. გიორგი ლოსაბერიძისა, 5 წ. რომი.  
„გ ო გ ო ნ ა თ ა მ ა შ ო ბ ს“ — ნახ. ინგა მახაშვილისა, 6 წ. თბილისი.  
„პ ე ბ ე ლ ა“ — ნახ. ნანა მაღრაძისა, 6 წ. ყაზბეგი.  
„უ ა ყ ა ჩ ო ე ბ ი“ — ნახ. ბადრი გოგინავასი, 8 წ. ქუთაისი.  
„შ ე მ ო ღ გ ო შ ა“ — ნახ. ვივა ქეშერტელიძისა, 7 წ. თბილისი.  
„წ ვ ი მ ი ა ნ ი ღ ლ ე“ — ნახ. თამუნა ნიორაძისა, 10 წ. თბილისი.

